372
1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელიწადი

1976 დეკემბერი N12

ახალწლის ღამე ჯუეში

იორამ ქემერტელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეში კი ცხოვრობს კურდღელი,
დათვი, მგელი და მელია,—
მაგრამ ტყე მაინც ტყე არის,
ტყეში ცხოვრება ძნელია.
და ჩვენმა თოვლის პაპამაც
ტყეს გადუფრინა ვერტმფრენით
და ჩაყარა და ჩაყარა
ამანათები ჭრელ-ჭრელი.
შეიქნა ერთი ამბავი,—
ჯგლერთა და გაწამაწია
და ამანათი ჭრელ-ჭრელი
სუყველამ დაინაწილა.

არ იტყვით, რომელს რა შეხვდა?
აი, თუ გინდათ, სეირი:
მგელს—თივა,
მელას—სტაფილო,
კურდღელს—მწვადები ჯეირნის,
ზარნაშოს—კროლა კაკლები,
სპილოს—კატლეტი წვრილ-წვრილი,
დათვს—რკოთი სავსე ტომარა,

ციყვს—სულ წითელი პილპიტონი.
აბა, რად უნდა მგელს თივა,
ან დათვს—რკო მთელი ტომარა
ყველა მშიერი რჩებოდა,
ჩვენი მელია რომ არა.

მელამ იფიქრა: „რად მინდა,
რა თავში ვიხლი სტაფილოს,
უნდა დავწერო წერილი,
კურდღელთან უნდა ვაფრინო“.
დაჯდა, დაწერა: „კურდღელო,
გილოცავ ახალ წელიწადს
და ამ სტაფილოს გიგზავნი
ჩემი ლეკვუნას ხელითა.
დამიბერდი აგრე ტკბილად,
გაგითენდეს კარგი დილა!“

აუჩუყდა კურდღელს გული,
ცას ეწია სიხარულით..
მერე იმანაც იფიქრა:
„რა თავში ვიხლი მწვადებსო,
მე მწვადი მქონდეს სახლში და
მგელი მშიერი გვყავდესო?“
დაწერა: „მგელო, მგელუკავ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აუჩუყდა ყველას გული,
ცას ეწივნენ სიხარულით...

. . .

იმ ახალწლის წინა ღამეს
ყველამ კარგად მოილხინა,
ტყეში თოვდა, ფანტელები
მოდიოდა ფთილა-ფთილა
და მხეცები—მტაცებლები,
ერთმანეთს რომ ჭამდნენ წინათ—
შინ იჯდნენ და ერთმანეთის
სადღეგრძელოს სვამდნენ ტკბილად.
ჰო, მართლა! ჩვენი მელიაც
არ დარჩენილა ნაწყენი.
თხამ რომ მიიღო თივა და
ბარათი მგლისგან ნაწერი—
აუყუჩდა მასაც გული,
ცას ეწია სიხარულით...
მერე დაწერა „მელიავ,
ვხედავ, მტრობის დრო წასულა!
აი, მგელი რომ მგელია,—
თივა მომართვა ხრაშუნა.
თურმე სულ შენ ხარ, რაცა ხარ,
გილოცავ ახალ წელიწადს,
რძესა და კარაქს გიგზავნი
ჩემი ბეკეკას ხელითა.

13035

გილოცავ ახალ წელიწადს,
ჯეირნის მწვადებს გიგზავნი
ჩემი ბაჭიას ხელითა.
დამიბერდი აგრე ტკბილად,
გაგითენდეს კარგი დილა!“

აუჩუყდა მგელსაც გული,
ცას ეწია სიხარულით...
მერე იმანაც იფიქრა:
„რა თავში ვიხლი თივასო,
თხას გავუგზავნი, ეგება
წლის დადგომამდე მივასწრო“.
დაწერა: „წვერებცანცარავ,
გილოცავ ახალ წელიწადს
და ქორფა თივას გიგზავნი
ამ ჩემი ლეკვის ხელითა.
დამიბერდი აგრე ტკბილად,
გაგითენდეს კარგი დილა!“

მიუკითხა იმან იმას,
ამან—იმას,
იმან—ამას
იყო ერთი სიხარული,
ქეიფი და სმა და ჭამა;

ნახატი მანანა მორჩილაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელი

რევაზ ინანიშვილი

აკაკი წერეთელი სხვიტორში იყო, თავის სამშობლო სოფელში. ოქტომბერი იწურებოდა, წვრილი წვიმების, მსუბუქი ნისლების და წითელ-ყვითელი ფერების თვე. ხანდახან ნოტიო ნიავიც წამოუბერავდა, ხილნარის ფოთლებს დაბლა ჰყრიდა და მერე ცდილობდა მიწა-მიწა წაეღო.

აკაკი უთენია დგებოდა. ბებრული ფათურით აანთებდა ლამპას. მიუჯდებოდა სამუშაო მაგიდას და ხან შუბლზე ხელმიბჯენილი კითხულობდა, ხანაც—ოდნავ გვერდზე გადახრილი წერდა.

მაგიდა ფანჯარასთან ედგა. ზედ წიგნები, ქაღალდები, საწერ-კალამი, გახსნილი კონვერტები, პატარა დანა და ქინძისთავები ეწყო. ფანჯრიდან მთის ფერდობი მოჩანდა. მთას მაღლა მუქი მუხნარი გადავლებოდა, ქვემოთ და ქვემოთ კი რცხილის ბუჩქები იყო გაფანტული. იმ ბუჩქებში, ჯერ ისევ გათენების ბინდში, ანდა ზემოდან საცეცებ-ჩამოწვდილ ნისლში, თხები გამოჩნდნებოდნენ. დადიოდნენ, დაქივქივებდნენ, უკანა ფეხებზე შემდგარნი ეწვდებოდნენ რცხილის ნორჩ ყლორტებს, თითქოს ვიღაცის დაძახილზე იხედებოდნენ, ტუჩებს გაჩქარებით აცმაცურებდნენ. გაივლიდნენ გამხდარი, დაფიქრებული ბოჩოლებიც. გაირბენდა შოლტიანი ბიჭიც. აჰყვებოდნენ აღმა ამავალ ბილიკს წელში წალდგარჭობილი სხვა ბიჭებიც, კაცებიც, ზოგჯერ თავსაფრით პირახვეული ქალებიც. ცოტა ხანში, ოთხად მოლუნულები, ფერდობზე ჩამოატარებდნენ შეშის გუდურებს, ჩამოათრევდნენ ფიჩხს, ანდა ტოტებშესხეპილ მოზრდილ ხეებს. ზემოდან მომავლები ყველანი მორბოდნენ, აქეთ-იქით არ იხედებოდნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება ჩქარა ჩაჰფარებოდნენ ბუჩქნარებს და ბექობებს.

ბიჭების უმეტესობა ფეხშიშველი იყო, შარვლის ტოტები აეკარწახებინათ და დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდებლად „მოსუსხურებდნენ“ ხმელ, ეკლიან ბალახებში.

უყურებდა მოხუცებული, მოტეხილი პოეტი, თითქოს მას ჩხვლეტდნენ ეკლები, თანაც ფეხებში კი არა, გულში, და გული ეკუმშებოდა, ეწურებოდა, უთავდებოდა ტკივილით.

შემოვიდოდა მოურავი კოწია, სალამს იტყოდა, იდგა, ჩოხის ქილებზე ისვამდა ხელს, მერე ისიც გაიხედავდა ფანჯარაში და მოჰყვებოდა წუწუნს:

— გაკაფეს, ბატონო, ყველაფერი. ათითხუთმეტი წელიწადი და ხე აღარ დარჩება, სიცხეში რომ თავი შეაფაროს შეწუხებულმა კაცმა. სულ დაიხრამება ეს ფერდობები, ნიაღვრები წაიღებს ყანებს, უტყეოდ რაღა ქართული სოფელი იქნება ჩვენი სოფელი...

აკაკი მორჩილად მიაპყრობდა დაღლილ, დასუსტებულ თვალებს.

— უნდა ავუხსნათ, კოწია, თვითონ გლეხობას უნდა შევაგნებინოთ ეს გარემოება.

— ვუხსნი, ბატონო, სულ მაგას ვუჩიჩინებ ყოველდღე, მაგრამ ვინღაა ახლა ჩვენი დამჯერი! რიდი აღარა აქვთ და შიში: გლეხს კიდევ, ბატონო, თუ შიში არა აქვს რამის, რა დააკავებს სხვა! ერთი რომ ერთ ხეს მოჭრის, მეორე სამის მოჭრას ცდილობს, არ უნდა, სულ მცირეზე ჩამორჩეს მეზობელს.

აკაკი ადგებოდა, ხელჯოხს აიღებდა და ბოლთის ცემას იწყებდა დიდ, სევდიან ოთახში.

— ძნელია, კოწია, ძალიან ძნელი, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი უნდა შევეცადოთ, ჩვენცა და გლეხებიც.

კოწია დასტურს აძლევდა,—კი, ბატონოო, რა თქმა უნდა, ბატონოო,—მერე ისევ თავის სამიზნეს უმიზნებდა.

— წყალში ქვას არ დატოვებენ ხელშეუვლებელს. თუ რამე დაძრეს, შინ მიაქვთ ყველაფერი. ამას წინათ თითისოდენა ბავშვი რეზინს აჭრიდა ეტლის ბორბალს, ბებიას ჭირდება, ბღერის წამალი უნდა გააკეთოსო. ერთი სარეკელი გლეხი ღამით ხიდის ყურის ქვებს გლეჯდა...

აკაკი გაჩერდებოდა, ჯოხს ორივე ხელით

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაებჯინებოდა და დაინტერესებული შეჰყურებდა კოწიას. სულ მალე ისეთი სახე უხდებოდა, აშკარად ჩანდა, ფიქრით უკვე სადღაც იყო გადასახლებული. მაშინ კოწიაც ჩუმდებოდა და ფეხაკრეფით გადიოდა გარეთ.

შეკრიბეს სოფლის თავკაცები, გაუშალეს სუფრა. დასხდნენ, ისაუბრეს—შინაურულად, ნათესავურად, მამა-შვილურად. ყველა შეწუხებული იყო. უტყეოდ რაღა სოფელი იქნება ჩვენი სოფელიო. პირობა დადეს, ახლომახლო არცერთ ჯანსაღ ხეს აღარ მოჭრიდნენ, მაგრამ სამი დღეც არ გასულა, ისევ ჩამოატარეს ბიჭებმა და ქალებმა ნედლი გუდურები. ერთმა ქვრივმა ქალმა კინაღამ ფრჩხილებით ამოკორტნა თვალები კოწიას. შემოვიდა კოწია, გული ყელში ჰქონდა მობჯენილი:

— არაო მათრახი და, ა! შეხედეთ, ბატონო, შეხედეთ!

ჩამოდიოდა ფერდობზე ორი პატარა, საცოდავი ბიჭი, ხელუღელისთვის გამოებათ ახალმოჭრილი, გრძელი, სუფთა ლატანი და მოათრევდნენ, მოარბენინებდნენ.

აკაკი გამტკნარებული იდგა. მერე თქვა:

— ცხენი შემიკაზმეთ!

შეუკაზმეს დის, ანას წყნარი, ლონიერი ცხენი. შეჯდა, ნელა გავიდა ჭიშკარში, ნელა აუყვა მთის ფერდობს. წამოეწია კოწიაც, ხან მარჯვნიდან ამოუდგებოდა, ხან—მარცხნიდან, ხშირად ახსენებდა მათრახს.

მიუბრუნდა აკაკი:

— ნუ მომდევ, მარტო მინდა ვიყოო.

კოწია შეჩერდა.

აკაკიმ მარტომ განაგრძო გზა, მარტო დავიდა მთის იქით.

ნაშუადღევს დაბრუნებული კიდევ უფრო დაბერებული და მოტეხილი ჩანდა. განაწყენებული კოწია რაღაცეებს ეკითხებოდა. აკაკი არ პასუხობდა. ავიდა მაღლა, საჭმელზე უარი თქვა, დაწვა, კედლისკენ გადაბრუნდა. კედელზე ხალიჩა იყო გაკრული. უკვირდა, რა ხელი, რა მონდომება აკეთებდა ხალიჩის სათითაო ყულფს, სულ სხვადასხვა ფერის უზუსტეს ფიგურებს.

მეორე დღეს კი ფანჯარა ნახევრად ამოაშენებინა გარედან.

ახლა, მაგიდასთან მჯდარი მოხუცი პოეტი, შეულესავ კედელს, მთის თავზე გადავლებულ ჩამუქებულ მუხნარს და მოწყენილ ცასღა ხედავდა.

თუ სიმშრალე იყო, ჩადიოდა ბაღში. დადიოდა ლანდივით ჩუმად. გაჩერდებოდა, იყურებოდა მაღლა, დასცქეროდა მიწას. მიწაზე ნიავი აწვალებდა უკვე გამხმარ, დამსუბუქებულ ფოთლებს,—ცდილობდა დაეძრა, ვერ ძრავდა. პოეტი ნიავს ხელჯოხით ეხმარებოდა. ფოთლებს ჯოხის წვერს აჭკრავდა, ნიავი გაიხარებდა, ფოთლებს რამდენიმე ნაბიჯზე წააფრიალებდა.

პოეტს დამცინავად ეღიმებოდა.

მერე ისევ დაფიქრებული იდგა.

შეხედავდა ნახევრად ამოშენებულ ფანჯარას კოწია და გაუგებრობის ნიშნად გაშლიდა ხელებს.

ჩიტუნები

ზაქარია შერაზადიშვილი

საწყალობლად ჟივჟივებენ
გულშემკრთალი ღაბუები,
ნეტავ სად ჰყავთ
დედა, მამა,
ბებიები, ბაბუები?..

ქარი ცაში
ფერად ნაჭრებს
ძერებივით აფრიალებს,
მობუზულან ჩიტუნები,
შიშით ვეღარ დაფრინავენ.

ბატი და ბატიბუტი

ავთანდილ გურგენიძე

ბატმა ჭამა ბატიბუტი,
განა ერთი,
ათი ფუთი.
გასივდა და
გაიბერა,
აცახცახდა,
აკანკალდა...
ექიმ წეროს მიაკითხა,
სხვა მშველელი არვინ ჰყავდა.
რალა ბევრი გავაგრძელო,
მოარჩინა ბატი წერომ.
მერე უთხრა:
— ბატიბუტი
რატომ ჭამე
ათი ფუთი?
არ იცი, რომ ყურადღება
უდიდესი სიკეთეა?
ცხრა ძმა რომ გყავს—
თითოსათვის
თითო ფუთი მიგერთმია...

ნახატი **ზაურ დეისაძისა**

ჩიხჭიკოპი და ჩოხა-ახალუხი

მანანა ავალიშვილი

დიდთოვლობისას, როცა ღამღამობით მთვარე ხანჯლისპირივით ლაპლაპებდა ცაზე, დაიბადა გიშერთვალება ხბო. ბებიამ წერილი მისწერა ქალაქში თამუნას და ჯურხას: ჯეირანას ბოჩოლა ეყოლაო.

ბავშვებს მონატრებოდათ ბებია და ბაბუა, კუდბუთქა ძაღლები — თოლია და ბელა — და გულით უნდოდათ ენახათ ახლადგაჩენილი სახარე ხბო. ერთ დღეს დედამ სამგზავროდ გამოაწყო დაძმა. ჩააცვა თბილი ქურქები, დაახურა ქურქისნაირი თბილი ქუდები და სოფლისკენ გაემგზავრნენ.

მთებს თოვლის ნაბდები მოესხათ ვეებერთელა მხარ-მკლავზე, მოწყენილი იცქირებოდნენ სახლები მთის ფერდობებზე.

საღამოს ჩამოვიდნენ სოფელში. მთვარეს გადაექათქათებინა ბილიკები და ფეხქვეშ თოვლი ხრაშუნობდა, იისფერი კვამლი ამოდიოდა სახლებიდან და გაყინულ ჰაერში იკარგებოდა.

— ბუხარი დაუნთიათო, ჩვენ გველიანო! — წამოიძახა თამუნამ და ორივენი ჭიშკარს მიაწყდნენ. დიდხანს კოცნიდნენ ბებია და ბაბუა შვილიშვილებს. შინ შეიყვანეს, გაყინული ხელფეხი გაუთბეს, გაუმასპინძლდნენ.

მეორე დღეს ბებიამ უჯრიდან უხსოვარი დროიდან შემონახული ჩიხტიკოპი ამოიღო, მას ჯურხას სარგო პატარა ჩოხა-ახალუხიც მოაყოლა, მოკლე ძვლისტარიანი პატარა ხანჯლით, პატარა ქარქაშით და ლამაზი ქამრით. ამოიღო კოხტა ყალმუხის ქუდიც. და-ძმა მიცვივდა ბებიას და სიხარულისაგან აღტაცებულებმა კინაღამ გაგლიჯეს ლამაზი ქართული სამოსი.

რადგან ზამთარი იყო და ციოდა, ბებიამ თბილი ტანსაცმლის ზემოდან გადააცვა თამუნას თეთრი აბრეშუმის კაბა, თავს ჩიხტიკოპი დაახურა, ლამაზი ქინძისთავით, კავებითა და ნისლივით მსუბუქი, ფარფატა ლეჩაქით დამშვენებული. მოირგო თუ არა ჩიხტიკოპი თავზე, თამუნამ თვალები დაბლა დახარა და ციცქნა ხე-

ნახატი ედუარდ ამგოკაძისა

ლები ფრთხილად შეახო ლეჩაქის ფაქიზ მარმაშებს.

ბებიამ ჯურხას შინდისფერი ახალუხი და შავი ჩოხა ჩააცვა. ყალმუხის ქუდი დაახურა და ღიმილმორეულმა ტაში შემოკრა.

ყინვისაგან დამზრალი მზის სხივები ბრწყინავდა თოვლზე, თამუნა და ჯურხა ქართული ტანსაცმლით მორთული დარბაისლურად ჩაუყვნენ გასიპულ შუკას. წყაროდან დიდი კოკით მომავალ კახას თვალები გაუფართოვდა და სახტად დარჩენილმა წამოიძახა:

— ე, ბიჭო, ესენი ვინ არიან?

მერე სიცილმა წელში მოხარა ბიჭი და დიდი წვითა და დაგვით წამოღებული კოკა კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

— სურათიდან გადმოსულებს არა ჰგვანან, ქალო!—წამოიძახა კესო დეიდამ და ცნობისმოყვარე თვალებით ახედ-დახედა ბავშვებს.

სეირნობიდან დაბრუნებულმა, ღაწვებაწითლებულმა თამუნამ და ჯურხამ, სახლის კარი რომ შემოაღეს, ყველა ფეხზე წამოდგა: ბებია, ბაბუა, დედა, მამა, სკამები მიართვეს, მოწიწებით შეაგებეს „დაბრძანდით"-ო. ბავშვები დასხდნენ.

წამწამებდახრილი იჯდა თამუნა და კაბის ნაოჭებს დასცქეროდა. ჯურხას ქამარ-ხანჯალზე ეწყო ხელები და არ ინძრეოდა.

,,ტანსაცმელმა როგორ დაადინჯა შვილიშვილებიო"—გაიფიქრა ბებიამ.

ბავშვებს მოეწონათ მოზრდილი ადამიანის მდგომარეობა, მოეწონათ, პატივისცემით რომ შეხვდნენ უფროსები და ჩუმად ისხდნენ, ცოტა ხნის შემდეგ შეწუხება დაეტყოთ. უცებ თამუნამ ფანჯრიდან თვალი მოჰკრა თოვლში მოკუნტრუშე ხბოს. წამოხტა სკამიდან და წამოიყვირა:

— ბაბუას კოტინა გამოუშვია!

გარეთ გავარდა და თეთრი ლეჩაქი ნიავივით გაიშალა ზამთრის კამკამა ჰაერში. ჯურხა უკან გამოენთო დას. გამოეკიდნენ ხბოს, დიდხანს დასდევდნენ, თამუნას ჩიხტიკოპი გვერდზე მოექცა, ჯურხას ძვლისტარიანი ქამარ-ხანჯალი აღარც ახსოვდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაიჭირეს ხბო, მოეხვივნენ კისერზე და დაუკოცნეს ლამაზი, ჭკვიანი თვალები.

ზამთარი

ლია ასათიანი

როგორც იქნა გაგვითოვდა,
გაუხარდა ბადრის.
ადრე ადგა და ეზოშიც
სხვებზე ადრე გარბის.
თოვლის პაპაც დადგა... ცოცხით,
დაუმშვენა ხელი,
გაულიმა, მიულოცა
ბედნიერი წელი.
მერე გუნდა დააგროვა
ქათქათელა თოვლის,
რომ გაგუნდოს უთენია
ყველა თანატოლი.
დგას და იცდის, ელოდება
რეზოს, გიას, ხუტას,
ვის მოხვდება სულ პირველად
მისი თოვლის გუნდა?!

ნახატი **ვაჟა დათეგაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის მოვა თოვლი

მორის ფოცხიშვილი

თოვლი მაშინ მოვა თურმე
მზე
რომ
ფქვილად
გაცრის
ღრუბელს...

პირველი თოვლი

მე მეგონა, მთას და მდელოს
მოეფინა ცხვრის ფარა,
თურმე მთელი არემარე
თოვლით გადაიფარა.

საგუნდაოდ!—გვიხმობს გარეთ
თეთრი პაპანაქება,—
ჩქარა, თორემ მზე ამოვა
და ეს თოვლიც გაქრება!

ეზოა თუ თეატრია,
ავდარია, დარია...
ყველაფერი დიადია,
როცა გულს უხარია!

საყვედური

ფიფქო,
მართლაც მანდო იქნებ
შენი გულისნადები,—
გეფერები,
ვერ გავიგე
ხელში რატომ
მადნები?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭყვე თაგუნები

მზია ჩხეტიანი

დაურბევია მელიას
სათაგვეთს მთელი ქალაქი,
ტყვეებით გაუტენია
ერთი ვეება კალათი.
— ჰოი, მელიავ, მელიავ,
რას უზამ ამ ტყვე თაგუნებს?
— ნაძვის ხის ირგვლივ ვაცეკვებ,
ვათამაშებ და ვახტუნებ.
მერე ავანთებ კერასა
და მწვადებს ავაშიშხინებ,
სუფრასაც გავშლი ჭრელასა,
გარს შემოვუსხამ წვრილშვილებს.
ხევგალმა მძახლებს გავძახებ,
ხევგამოღმა კი ძმისშვილებს,
მაშ, რა ვქნა!
ახალ წლის ღამეს
სწორედ რომ ვერ ვიშიმშილებ!

თეთრად ბარდნის

იმერი ხარაძე

გარეთ ყინავს,
თეთრად ბარდნის...
ბებო—საქმით
გართულია...
ნემსს მოვძებნი,
თბილ ფაჩუჩებს
შევუკერავ
კატუნიას.

ნახატები **სოფიო კინწურაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალწლის ღამეს

ნოდარ კეკელიძე

სოსომ **და** **გ**იგიმ კოლ**მეურ**ნეობ**ის** თავმჯდომარის ოთახ**ის** კარ**ი** შეაღეს და მოწიწებით შეეიდნენ:

— ოო, ბიჭებს გაუმარჯოს!— მხიარულად შეეგება კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ძ**ია** ჰეტა,—რაშია საქმე, რა გაგჭირვებიათ, უმაწვილებო?

სოსომ გიგის გადახედა და თავი მორცხვად ჩაღუნა.

— კი, მაგრამ რა გაგიჭირდათ ისეთი, არ მეტუვით?

ბიჭები ისევ დუმდნენ, შეცბუნებულები ხან ძია ჰეტას მისჩერებოდნენ, ხან—კარს.

უცებ კარიც გაიღო და აელაუუდა კლუბის გამგე შეოვიდა.

— ძია ჰეტა, აი, ზეზვა გეტუვით ეველაფერს!—გამოცოცხლდნენ ბავშვები.

— ამ თითისხელა ბალღებს, ძია ჰეტა, კარგი ამბავი მოუფიქრებიათ, ჩემმა მზემ!—ნაუიაობით თქვა კლუბის გამგემ და ბავშვებს **გ**ადახედა.

— მაინც აღარ იტუვით კაცო?—ხელები გაშალა ძია ჰეტამ.

— ახლავე მოგახსენებთ!—ჩაირონრონა აელაუუდა კლუბის გამგემ. მერე ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოამვრინა და ძია ჰეტას მაგიდაზე დაუდო,—წაიკითხეთ და ეველა-

ფერს მიხვდებით!

ძია ჰეტამ სათვალე მოირგო და კითხვას შეუდგა.

— სიმართლე გითხრათ და, მართლაც კარგი რამე მოუფიქრებიათ ამ უმაწვილებს! — თქვა ძია ჰეტამ და წამოდგა; ჩაეღიმა, ტუჩნიკაპზე დინჯად დაისვა ხელი და ბიჭებთან მივიდა:

— მეც თქვენთანა ვარ, დამითმია კლუბი! — მერე კლუბის გამგეს მიუბრუნდა: — შენ იცი, მიხედე ბიჭებს, რაც გითხრან, ეველაფერი გაუკეთე.

სოფლის კლუბში მთელი დღე უჩვეულო ფუსფუსი იდგა. შებინდებამდე ეველაფერი მზად იყო. დარბაზის შუაგულში მდგარი კოპწია, მორთულ-მოკაზმული ნაძვისხე კამკაშა სინათლეზე თვალისმომჭრელად ანთებდა. სტუმრებიც ნელ-ნელა თავს იყრიდნენ. მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ხელჯოხიანი, წელში მოხრილი ბებიები და ბაბუები, ზოგს უმცროსისთვის ჩაეკიდა ხელი და ისე მოდიოდა. მალე კლუბში სოფლის ეველა მოხუცმა მოიყარა თავი. მარტო შიო ჰაჰაღა აკლდა.

— შიო ჰაჰა, რა ხანია ავადაა, წევს, როგორ გინდათ მოვიეანოთ? — გვერდზე გაიხმო გიგიმ სოსო.

ბიჭები შიო ჰაჰას შინ ეწვივნენ და საწოლის წინ გვრიტებივით ჩამოუსხდნენ. შიო ჰაჰა კრუსუნით გადმობრუნდა.

ჰაჰამ ჯერ მოუსმინა ბავშვებს. მერე უცქირა, უცქირა, „ფხუკუო“ — და, თვალზე ცრემლის მოდენამდე იხითხითა.

— რას ამბობთ, შვილო, რადა დროს ჩემი ეგეთებია, ფეხებს ძლივს დავათრევ!

მერე უცებ სახე დაუნაღვლიანდა, ერთხანს ჩაღამებული თვალები ჯერისთვის ჰქონდა მიპყრობილი.

— ეეჰ, რას არ მოიფიქრებთ! — კანკალით თქვა შიო ჰაჰამ. რის ვაივაგლახით წამოდგა, კედელთან მდგარ სკივრს თავი ახადა და შიგ ხელები ააფათურა. ჯერ ვიწროეელიანი, ჰრიალა ხრომის ჩექმები ამოაძვრინა, მერე ჩოხა-ახალუხიც ამოიღო და ბავშვების დახმარებით შეუდგა ჩაცმას.

— ჰაი დედასა! რა „ცარსკები“ იყო! — სინანულით წაიდუდუნა მოხუცმა, — რაც ბიჭები წამივიდნენ, ერთხელაც აღარ ჩამიცვამს, ან სული რიღათი მიდგას მათ დამკარგავს.

ჩოსა-ახალუხში გამოწყობილი შიო ბაბა ბიჭებმა სანხალით გაიყვანეს ეზოდან და მანქანაში ჩასვეს.

შიო ბაბამ, კლუბში რომ შეიყვანეს, თვალებს არ დაუჯერა: მთელი სოფლის მოხუცებს აქ მოეყარათ თავი.

ნახატები **ვახტანგ გულისაშვილისა**

— ვაჰ, ეს რა დღე გაგვითენდა კაცო! ჩიფჩიფებდნენ დედაკაცები,—ვის რაში გა-გახსენდით, ხალხო!

— ღმერთმა ეგენი გაახაროს ჩვენი გასარებისათვის!—ეველას ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

ზეიმის დაწყებამდე გოგონებმა მოზრდილი კალათით საჩუქრები შემოიტანეს და სათითაოდ დაურიგეს მოხუცებს. მერე მუსიკის ხმა გაისმა და ზეიმიც დაიწყო.

ნაძვის ხესთან ბატარა გიგი დადგა, იქ მეოფთ თვალი გადაავლო და თქვა:

— ბედნიერი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენო ბებიებო და ბაბებო, ჩვენ გვიხარია, რომ ახალწელს თქვენც ჩვენთან ერთად იდღესასწაულებთ. დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ!

მერე ცეკვა-თამაში გაჩაღდა. გიგიმ ნუშო ბებო გამოიწვია, სოსომ—თებრო ბებო, ნინომ—ნიკო ბაბა, ვახომ—ელისაბედი...

— ვერ ვიცეკვებთ, შვილო, მუხლები გვიბჟუის!—უარობდნენ მოხუცები.

— იცეკვეთ, იცეკვეთ!— აჟრიამულდნენ გოგო-ბიჭები და ტაში დასცხეს.

სახეაღაჟღაჟებული ბებიები და ბაბები, ბავშვებთან ერთად, ხელიხელჩაკიდებულები, ტანწერწეტა ნაძვის ხეს გარს უვლიდნენ სიმღერით და მხიარულად კისკისებდნენ...

გვიანობამდე გაგრძელდა საახალწლო დღესასწაული. შინ აღარავის სურდა დაბრუნება.

გარეთ კი თოვდა, სვავრიელად თოვდა, მძიმედ, დარბაისლურად მობრძანდებოდა ახალი წელი და თან ბედნიერება და სიხარული მოჰქონდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელაკუდას პასუხი

გიორგი კაჭახიძე

ტურაქ უთხრა მელაკუდას:
— ვინ მოგვართმევს ქათამს ტეეში,
წავიდეთ და სოფლად სადმე
შევიპაროთ საქათმეში.—

მელაკუდა შეეოემანდა:
— ვერ დავტოვებ ობლად შვილებს,
რაც იქ ერთხელ დღე დამადგა,
გახსენებაც კი მაშინებს.

სწორედ აქ დროს, ასეთ ბნელში
რომ შევეეი სოფლის აღმართს,
შიშით შევხტი, უცებ ისე
დაიეეფა ახლოს ძაღლმა.

მოვკურცხლე და დაქედევნა,
ძლივს შევასწარ ქშენით ხვრელში...
არ მგონია, იმის მერე
გული თუ მაქვს საგულეში.

ნახატი **გესო ხიდაშელისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი **დარეჯან ჭილაშვილისა**

ნიკას ლეკვი

ქეთევან ჭილაშვილი

გზაზე ერთი ბიჭი მოცანცაღებდა, ძმის გამოზაცვაღი პაღტო კოჭებამდე სწვდებოდა, საყელო აეწია და ყურებიანი ქუდიც შუბღზე ჩამოეფხატა.

„ნეტავ, ამ დიდაადრიან ასეთი რა საშური საქმე გამოუჩნდა ქვემოუბნელ ნიკასაო?“ — წაიკურკურეს წყაროზე მიმავაღმა გოგოებმა.

ნიკა კი ღობეს მიადგა:

— ჰაი, გიორგი პაპა!—დაიძახა ომახიანად და ხეღის გუღები დაიორთქღა.

— ჭიშკარი ღიაა!—მოესმა ნიკას სახღის პატრონის კეთიღი ხმა. შევიდა ეზოში და მასპინძეს ძებნა დაუწყო.

— აქა ვარ, რა გაგჭირვებია, პეტრეს ბიჭო?—ნიჩაბს დაყრდნობოდა ბერიკაკი, ეზო გადაეთოვღა.

— გამარჯობათ, გიორგი პაპა!—ნიკამ ქუდი მოიშვღიპა და ხეღებში მოჭმუჭნა.

— ქუდი დაიხურე, სუსხია, არ შეგცივდეს, უსაქმოდ არ გაირჯებოდი!

გიორგი პაპა პატარა მეზობეღს შინ შეუძღვა, დაბრძანდიო, სკამი შესთავაზა და თვითონაც იქვე სკამზე ჩამოჯდა.

— ჰო, სათხოვარი მაქვს. ისე ხომ კარგადა ბრძანდებით?—ჯერ მოკითხვაა წესიო, გაახსენდა ნიკას.

გიორგი პაპას ჩაეღიმა და მადღიერებით თავი დაუქნია;—ბრძანე...

— ცოტაოდენ ფიცარს არ მომცემ? სუყვეღას ჩამოგითვღი; ამ ზაფხუღს ვინ გაგიკრიფა ვაშღი თუ მსხაღი...

გიორგი პაპა შეცბა, სმენამ ხომ არ მომატყუაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ რა მითხარი, ბიჭო?

— მა...—გახაღისდა ნიკა. ეგონა ეგ არის ბერიკაცის გული მოვიგეო, ვინ მსხვილი მომცა, ვინ ვაშლი, ოღონდ არა თქვაო, ასე ჰქონდათ უბეები, ამოვსებული,—ნიკამ ხელები მუცელთან რკალივით შეკრა.

— აღე, აქედან გასწი, დაიკარგე, თორემ ფიცარს კი არა, კარგ სიღას გამომტყუებ!—კოპები შეიკრა გიორგი პაპამ და გაბრაზებულმა ცეცხლსა შეუჩიჩხინა.

— მეეე?—წამოხტა იხტიბარგატეხილი ნიკა,— მეხუმრებით, გიორგი პაპა!

— გაგახუმრებ მე შენა! მაგ ენას ამოგაცლი!

— მაშინვე რომ არ გითხარი, არა? დამემუქრნენ, კრინტი არ დაძრაო... სამნი იყვნენ და...

— ენატანიობა რა საკადრისია, შენ თვითონ რატომ არ შეარცხვინე, ისინი თუ სამნი იყვნენ, რატომ შენ ათ ბიჭს არ მოუყარე თავი უბანში და სამართალი არ მოუწყე? ისინი ხომ არ ვარგანან, არც შენა ხარ უკეთესი... ვნახო პაპაშენი, ყურებს ავუწევ.

— ჩემმა პაპამ რაღა დააშავა?

— ის დააშავა, რომ კარგად ვერ გაუწვრთნიხარ...

ნიკას ახლა კი ამოუდუღდა გული და პირი იბრუნა კარისაკენ.

გიორგი პაპა ძალიან გულნატკენი დარჩა, ამ თითის სიგრძემ ეს რა გამიბედაო, მაგრამ იმასაც ფიქრობდა, აღბათ ეს ნიკას სიბრიყვით უფრო მოუვიდა, ვიდრე ცუდი ბიჭობითო.

— აბა, ერთი მობრუნდი!—კარიდან გასძახა უკვე ეზოში გასულ ნიკას,—ფიცრები რად გინდოდა?

— ჩემმა დეიდაშვიღმა ღეკვი ჩამომიყვანა ქალაქიდან, ბუნაგი ხომ უნდა!—ამოსძახა ნირწამხდარმა ნიკამ.

— კეთილი და პატიოსანი, მაგ ღეკვის ხათრით, ეს ერთი მიპატიებია!—დაუთმო ბერიკაცმა, ეზოში ჩავიდა და კოხტად გარანდული ფიცრები ნიკას სულ თავისი ხელით აარჩევინა.

ნახატი **გრიგოლ გაფრინდაშვილისა**

ცომი

ნაზი თარგამაძე

ჩემი ბებო ცომს ზელდა და
დიდზე დიდი ცომიდან
ციცქნა ცომიც კი არ მომცა,
ზელა მეც რომ მომინდა.
ხან მარჯვნიდან მომიცილა
ბებომ, ხან კი, მარცხნიდან.
მარტო თვითონ ზელდა ცომს და
მე სულ აღარ მაცლიდა.
მერე, ვიდრე ბებო შეშით
ღუმელს გაახურებდა,
ცომით სავსე ვარცლი იქვე
ახლოს მიდგა ღუმელთან.
და ქათმებიც დააპურა
ხორბლის წვრილი მარცვლითა;
გაბერილი ცომი, ბებოს
მოსვლას აღარ აცლიდა—
გაფუვდა და ნელა-ნელა
გადმოვიდა ვარცლიდან,
ბებოს მოცემული ცომი
ახლა უკვე არც მინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალფუნცარა

ელმავალი

ტარიელ ხავთასი

ერთი დაჰკივლა მძლავრად და
სივრცე გაკვეთა ფრთამალმა;
რკინის ბორბლებზე შემდგარი
მიჰყავს სახლების ამალა.

გუგუნით გადიგრიალა
გზები და შესახვევები;
დაგვიანებულ მგზავრივით
უკან მისდევენ ხეები.

ნაძვის ხესთან

ოთარ კუპრავა

რა ლამაზი ნაძვის ხეა,
რა ლამაზი ფერები.
თოვლის პაპამ მოიწყინა,
მივალ, მივეფერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი მიხეილ სოლოვიოვისა

13035

ავსარტეხი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები ხეების სახელწოდებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ საქართველოს ყველაზე დიდი მდინარის სახელი.

შეადგინა თბილისის 132 საშ. სკოლის მოსწავლემ ანზორ ალნიაშვილმა.

ბავშვებო!

ამიერიდან ჩვენი ჟურნალის ხშირი სტუმარი იქნება ძია ცხრაკლიტულა.

ძია ცხრაკლიტულამ იცის ბევრი ოინი, თავსატეხი, გასართობი...— ყველაფერი, რაც თქვენ გახარებთ და გამხიარულებთ.

მაშ ასე! ძია ცხრაკლიტულა ჩვენთანაა:

ამ ნახატზე თქვენ ხედავთ შეშინებულ თაგვს, რომელიც ლაბირინთში აპირებს შეძრომას, მაგრამ... ლაბირინთის ბოლოს კატა ჩასაფრებულა.

დაეხმარეთ თაგვს, რათა ისე გაიაროს ლაბირინთი, რომ კატას არ ჩაუვარდეს კლანჭებში.

მეორე სურათით კი (გარეკანის მეოთხე გვერდზე) ძია ცხრაკლიტულა ახალ წელს გილოცავთ, მან საჩუქრებით სავსე სკივრი მოგიტანათ, მაგრამ სკივრის კარი დაკეტილია.

სურათზე გასაღებებსაც მონახავთ და აბა, სცადეთ, რომელი გასაღები მოერგება სკივრის კარს.

ნახატი **მიხეილ სოლოვიოვისა**

მთავარი რედაქტორი **მუხრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია: **ანზორ აბულაძვილი, ედუარდ ამბოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი** (სამხ. რედაქტორი), **იორამ ქემერტელიძე** (პ/მგ. მდივანი) **რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის **რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი.**
ყდაზე ნახატი **ზურაბ კაპანაძისა**
გამოცემის 49-ე წელი.
ტექრედაქტორი **ედდი ფარეთელი**

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 17/XI-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/X-76 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურც. 2ნ, ტირაჟი 157.250. შეკვ. № 3182. „Дила" № 12. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.